აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
27 ივლისი, 2017

**დადგენილება №57 (16/17)**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებაში "აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:

3.3'. დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კოლოკვიუმი. კოლოკვიუმი წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის განხილვა-შეფასებას, რასაც მოყვება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი ვალდებულია სწავლების მეორე და მესამე წელს არანაკლებ ორჯერ მაინც გააკეთოს კოლოკვიუმზე პრეზენტაცია, მასთან სწავლების მეორე წელს არაუმეტეს ერთი კოლოკვიუმისა. კოლოკვიუმის შესაფასებლად გამოიყოფა ერთი ან ორი რეცენზენტი, მათი დადებთი რეცენზიის შემთხვევაში გამოიყოფა კომისია არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს ან დადებითად ან უარყოფითად. კოლოკვიუმი ითვლება შესრულებულად თუ მას დადებითად შეაფასებს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე